მსოფლიო ბანკის მიერ პროექტების დაფინანსების პროცესი

ილია ჩიბიროვი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: ilochibirov@yahoo.com

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში გადმოცემულია ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ რომლებიც შეიქმნენ მსოფლიო ბანკის ფორმირების და სტრუქტურული ცვლილების პროცესში.

მსოფლიო ბანკის მიერ განსახორციელებელი პროექტები დაფინანსებისათვის გასავლელი შემდგი ეტაპების შესახებ;

პროექტის იდენტიფიცირება, მომზადება, შეფასება, მოლაპარაკებები ბანკთან, დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცება, პროექტის განხორციელება რეალიზაცია, პროექტის დასრულება და შედეგების შეფასება.

ასევე სრულად არის განხილული მსოფლიო ბანკის მიერ პროექტების დაფინანსების პროცესში კონსულტანტთა შეჩევა შეფასების პროცესი რომელიც მოიცავს: შერჩევა ხარისხის და ღირებულების მიხედვით; შერჩევა მხოლოდ ხარისხის მიხედვით; შერჩევა მოცემული ბიუჯეტის მიხედვით; შერჩევა დაბალი ფასის მიხედვით; შერჩევა კვალიფიკაციის მიხედვით; კონკურსგარეშე შერჩევა ასევე განხილულია შერჩევა შეფასებისას გამოყენებული ინდიკატორები და კრიტერიუმები.

აღნიშნული მონაცემები დაგვეხმარება ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებისას რომელიც ეხება ზოგადაგ შერჩევა შეფასების მექანიზმებს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში ასევე კერძო ორგანიზაციებში. ზემოთ მოხსენიებული და განხილული საკითხები რეგულირდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოთი მასში შესაბამისი ფომებით დამტკიცებულია სხვადასხვა ეტაპზე წარსადგენი ფორმები და ცხრილები. რომლებიც მოიცავს მრავალ საინტერესო და საყურედღები საკითხს კონტროლთან და შერჩავასთან დაკავშირებით ასევე მაღალი კონკურენციის პირობების შექმნისთვის რაც მნიშვნელობვანია ფირმის ჯანსაღი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკი; პროექტის იდენტიფიცირება; ინსტიტუციონალური შეფასება; შესყიდვების გეგმა. პროექტის რეალიზაცია, კონსულტანტების შერჩევა ტექნიკური შეფასების კომიტეტი.

შესავალი. აღნიშნულ სტატიაში განხილულია რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკის მიერ კონსულტანტების შერჩევის მექანიზმები და სტრუქტურა, აღნიშნული მონაცენები დაგვეხმარება ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებისას რომელიც ეხება ზოგადაგ შერჩევა შეფასების მექანიზმებს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში ასევე კერძო ორგანიზაციებში.

მსოფლიო ბანკი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციაა, რომლის შექმნის მიზანიც განვითარებადი ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარებაა. თავისი განვითაერბის ისტორიის განმავლობაში ბანკმა განიცადა სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილება, ამიტომ ტერმინ მსოფლიო ბანკის ქვეშ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანიზაციები მოისაზრებოდა.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი მოიცავს:

რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკს - იგი დაარსდა 1945 წელს იგი გასცემს კრედიტებს სახელმწიფოს გარანტიით.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციას - იგი დაარსდა 1960 წელს იგი გასცემს კრედიტებს პროცენტის გარეშე სახელმწიფოს გარანტიით.

საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციას - იგი დაარსდა 1956 წელს იგი იზიდავს საერთაშორისო ინვესტიციებს კერძო ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო გარანტიის გარეშე.

მრავალმხრივი სააგენტო ინვესტიციების გარანტიისათვის - იგი დაარსდა 1988 წელს ინვესტორებს თავაზობს გარანტიებს პოლიტიკური რისკებიდან და ეხმარება ხელისუფლებას საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვაში.

საინვესტიციო დავის რეგულირების საერთაშორისო ცენტრს - იგი დაარსდა 1966 წელს იზიდავს საერთაშორისო ინვესტიციებს განვითარებად სახელმწიფოებში.

პროექტის ფაზა	სახელმწიფო	ბანკი
იდენტიფიცირება	V	დახმარება ხელის შეწყობა
მომზადება	V	დახმარება ხელის შეწყობა
შეფასება	———	V
მოლაპარაკებები ბანკთან	V	V
რეალიზაცია	V	მეთვალყურეობა
შედეგების შეფასება	———	V

მსოფლიო ბანკის მიერ განსახორციელებელი პროექტები გადიან სხვადასხვა ეტაპს ესენია;

პროექტის იდენტიფიცირება, მომზადება, შეფასება, მოლაპარაკებები ბანკთან, დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცება, პროექტის განხორციელება რეალიზაცია, პროექტის დასრულება და შედეგების შეფასება.

პროექტის განხორციელებისას პასუხისმგებლობა ბანკსა და სახელმწიფოს შორის შემდეგნაირადაა გადანაწილებული რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკის წევრები ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეხმარებიან განვითარებაში მათი მიზანი არ არის შემოსავლის მიღება ისინი ორიენტირებულები არიან ქვეყნების განვითარებაზე.

პროექტის იდენტიფიცირების შემდეგ იწყება პროექტის მიმზადება ამ ეტაპზე საჭიროა შემსრულებელმა ჩაატაროს შესაბამისი საფუძვლიანი კვლევები.

აღნიშნული პროექტის მომზადებისთვის შესაძლებელია ბანკმა გამოყოს მიკრო სესხი.

ბანკი ვალდებულია გაანალიზოს რამდენად შეესაბამება აღნიშნული პროექტი ქვეყნის საერთო სტრატეგიას პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ პროექტი არ ან ვერ მოიტანს სარგებელს ქვეყნისთვის შესაძლებელია მის შეწყვეტა.

პროექტის შეფასება ბანკის ვალდებულებაა იგი მოიცავს: ეკონომიკურ შეფასებას, ტექნიკურ შეფასებას, ინსტიტუციონალურ შეფასებას ფინანსურ ღირებულებით შეფასებას.

პროექტის შეფასების დროს დგება წინასწარი შესყიდვების გეგმა. ბანკის შეთანხმების გარეშე შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია. არსებობს შესყიდვების გეგმა რომელშიც ცვლილების შეტანა ნებისმიერ ეტაპზე არის შესაძლებელი თუმცა შეთანხმებული უნდა იყოს ბანკთან.

ბანკთან მოლაპარაკებების დროს განიხილება სხვადასხვა ტექნიკური საკითხები.

კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობების შემთხვევაში რომელიც შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკის ხელშეკრულების პირობებს შორის მუდმივად ითვალისწინებენ მსოფლიო ბანკის მითითებებს. როცა ხელშეკრულებას აწერს ხელს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა წესი და პირობა რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

დამაკავშირებელი სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკს შორის არის მხოლოდ ხელშეკრულება და შესყიდვების გეგმა.

მოლაპარაკებების შემდეგ ქვეყნდება ძირითადი განცხადება შესყიდვების შესახებ ის ქვეყნდება მხოლოდ ერთხელ და ყველას აძლევს ინფორმაციას პროექტის შესახებ ვინ მართავს აღნიშნულ პროექტს და რისი შესყიდვა ხდება ამ პროექტის ფარგლებში.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება მსოფლიო ბანკსა და შესაბამის სახელმწიფოს შორის.

ხელშეკრულების გაფორმების შემდებ არის სხვადასხვა პირობები და მოთხოვნები რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რათა დარეგისტრირდეს საბოლოო სესხი.

შემდეგი ეტაპი არის პროექტის რეალიზაცია, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ვალდებულებაა და იგი ვალდებულია მოლაპარაკებე-

ბის შედეგად მიღებული შეთანხმებების შესაბამისად უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესრულების შესახებ.

ბანკი აკონტროლებს და ამოწმებს რამდენად სწორად ხდება პროექტით გათვალისწინებული ხარჯების განკარგვა. რის შემდეგაც წერს ანგარიშს პროექტის რეალიზაციის დასრულების შესახებ.

პროექტის შესრულების შეფასებას ბანკი ანხორციელებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროექტის მიზნების მიღწევა; დანახარჯები და სარგებელი; შემდგომი განვითარება.

ბანკში შეიძლება შევიდეს სხვადასხვა ტიპის საჩივრები თუ საჩივარში არის კორუფციის ნიშნები მაშინ ეგზავნება საგამოძიებო განყოფილებას სხვა შემთხვევაში რეგიონურ მრჩეველს რომელიც წერს დასკვნას.

თუ შემფასებელმა კომისიამ რომელიმე მონაწილის არასწორი მიდგომის გამო როგორიცაა: შერჩევის მეთოდიკის დარღვევა შესყიდვების გეგმის არ გათვალისწინება ან სხვა უქმდება მთლიანად პროექტი.

მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული დაფინანსების ხარჯვისას ეგრეთ წოდებული კონსულტანტების შერჩევაზე პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის იგი ვალდებულია მსოფლიო ბანკის მითითების შესაბამისად უზრუნველყოს კანდიდატთა შერჩევა. ამზადებს საკონკურსო დოკუმენტაციას აცხადებს კონკურსს, იღებს შემოთავაზებებს და განიხილავს მათ, აფასებს კონსულტანტებს,

მსოფლიო ბანკი თვალყურს ადევნებს შერჩევის პროცესს ამოწმებს პროცედურების დაცვას,

ბანკის პოლიტიკა კონსულტანტების შერჩევისას შემდეგია:

მაღალხარისხოვანი მომსახურების მიღება

ეკონომიის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა

შესთავაზოს კონკურსანტებს ყველანაირი პირობა მაღალი კონკურენციისათვის

სტიმულირება გაუწიოს ადგილობრივ მონაწილეებს რომელ ქვეყანაშიც ხორციელდება პროექტი

უზრუნველყოს პროცესის გამჭირვალობა

არჩევანის საფუძველია ხარიცხი

კონსულტანტების შერჩევა ხდება სხვადასხვა მეთოდის მიხედვით:

არსებობს შერჩევის შემდეგი მეთოდები:

შერჩევა ხარისხის და ღირებულების მიხედვით - დაბალი ღირებულება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როცა მომსახურება სრულად არის აპრობირებული და რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტები გამორიცხულია ანუ მარტივია.

შერჩევა მხოლოდ ხარისხის მიხედვით - აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მაღალი რისკის შემცველობის მქონე პროექტების შესრულებისას. შერჩევა მხოლოდ ხარისხის მიხედვით გამოიყენება ძალიან რთული დავალებების დროს როცა დიდია გარე ფაქტორების ზეგავლენა და მოიცავს რამოდენიმე წელს და შეიძლება დავალების შესრულებისას აღმოჩნდეს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორები და იყოს შესრულების სხვადასხვა მეთოდი, რაც ართულებს ტექნიკური დავალების შესრულებას.

ვინაიდან მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი მხოლოდ ხარისხის მიხედვით შერჩევისას მოლაპარაკებებისთვის საჭიროა არა 4-5 კვირა როგორც ხარისხის და ფასის მიხედვით შერჩევისას არამედ რამოდენიმე თვეც კი.

შერჩევა მოცემული ბიუჯეტის მიხედვით - გამოიყენება მაშინ, როცა ფიქსირებულია ბიუჯეტი და აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს პროექტი.

გამოიყენება სხვადასხვა კვლევების დროს და მარტივი დავალებების შესრულებისას როგორიცაა პროექტების შემოწმება სტენდერო დოკუმენტაციის შემოწმება და სხვა.

შერჩევა დაბალი ფასის მიხედვით - შერჩევა მხოლოდ დაბალი ფასის მიხედვით.

გამოიყენება აგრეთვე მარტივი დავალებების შესრულებისას როგორიცაა პროექტის მიხედვით მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა სადაც წინასწარ არის დავალება სრულად გაწერილი და გარა ფაქტორების ზეგავლენა მეტ ნაკლებად დაბალია,

შერჩევა კვალიფიკაციის მიხედვით - შერჩევა კვალიფიკაციის მიხედვით.

გამოიყენება პროექტების შესრულებისას რომელთა ბიუჯეტი 300 000 დოლარზე მეტია და არჩევა ხდება მხოლოდ კვალიფიკაციის მიხედვით, გამოიყენება ისეთი მომსახურებების შესრულებისას როდესაც შემჭიდროვებულია ვადები, სხვადასხვა შეფასებისას ალტერნატიული კვლევებისას როდესაც საჭიროა კვალიფიციური მომსახურება.

კონკურსგარეშე შერჩევა - აღნიშნული მეთოდი გამოიყენება გამონაკლისის სახით, თუ ხდება კონრეტული სამუშაოს გაგრძელება და ფირმამ უკვე გაიმარჯვა შერჩევის სხვა მეთოდში. და წინა ტექნიკურ პირობაში იყო ჩადებული, რომ შეიძლებოდა დამატებით აღნიშნული სამუშაოს შესრულება. ასევე 100 000 დოლარამდე პროექტებისას თუ ვერ ხერხდება შემ-

ჭიდროვებული სიის შექმნა და გვყავს ერთი ფირმა რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ პირობებს აღნიშნული ფაქტი დასაბუთებულასდ უნდა გაიგზავნოს ბანკში და ბანკის თახმობის შემდეგ შესაძლებელია კონკურსგარეშე შერჩევა.

კონსულტანტების შერჩევისას ძირითადია შერჩევა ხარისხის და ფასის მიხედვით.

პრეტენდენტის შერჩევისას აღსანიშნავია შემდეგი ეტაპები:

კეთდება განცხადება კონკრეტულ მომსახურებაზე

შემოდის განცხადებები აღნიშნულ მომსახურებაზე

კეთდება შემჭიდროვებული სია, რომელიც უნდა მოიცვდეს მაქსიმუმ 6 ერთეულს.

იგზავნება მსოფლიო ბანკში თანხმობისათვის

მხოლოდ კვალიფიკაციის მიხედვით შერჩევისას იგზავნება ტექნიკური მაჩვენებლები და ხარჯთაღრიცხვა ერთ კონვერტად სხვა შემთხვევებში ტექნიკური მაჩვენებლები და ხარჯთაღრიცხვა იგზავნება ცალ-ცალკე და იმის მიხედვით თუ რა მეთოდით ხდება შერჩევა და მათი გახსნა.

ხარისხის და ფასის მიხედვით შერჩევისას ტენიკური პირობის მოთხოვნების პროცენტულად განაწილება ხედება შემდეგნაირად:

(0-10) მონაწილის შესაბამისი გამოცდილება

(20-50) წარმოდგენილი მეთოდოლოგიის ხარისხი

(30-60) ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია

(0-10) სწავლება ცოდნის გადაცემა

(0-10) ექსპერტების მონაწილეობა ძირიტად პერსონალში

ხოლო შემოკლებული ტექნიკური კრიტერიუმებისას

(20-40) ადეკვატურობა ხარისხი და მეთოდოლოგია

(60-80) ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია

კონკურსის განხორციელების პირველ ეტაპზე შეირჩევა ის კონსულტენტები რომლებიც სახელმწიფოს მიაჩნია მიზანშეწონილად შემჭიდროებული სიის მოსამზადებლად და დაეგზავნება მათ შეთავაზებები მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

სხვადასხვა კონკურსანტების მხრიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში კეთდება შემჭიდროვებული სია რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 6 ფირმისაგან. შემჭიდროვებული სია ეგზავნება ყველა იმ ფირმას რომელსაც შეარჩევს კომისია რათა მიიღონ მონაწილეობა კონკურსში . ბანკთან შეთანხმებით, თუ რომელიმე ფირმამ რომელიც შედიოდა შემჭიდროვებულ სიაში და არ მიიღო მონაწილეობა ანუ არ გამოაგზავნა თანხმობა კონკურსში მონაწილეობის შესახებ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა ფირმით, რომელიც ვერ მოხვდა შემჭიდროვებულ ჩამონათვალში. შემჭიდროვებული სიის მონაწილე ფირმებიდან, რომელიმესთან კონტრაქტის გაფორმებამდე თუ რომელიმემ მოითხოვა რაიმე საკითხის დაზუსტება აღნიშნული კითხვა თავისი პასუხით ეგზავნება ექვსივე მონაწილეს.

ხარისხის და ღირებულების მიხედვით შერჩევისას პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების განხილვისას პირველ ეტაპზე განიხილება ხარისხობრივი მაჩვენებლები და შემდეგ ფინანსური. შეირჩევა ის ფირმა რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ტექნიკურ ქულას. ტექნიკური ქულის დათვლა ტექნიკური შეფასების კომიტეტის პრეროგატივაა.

ტექნიკური შეფასების კომიტეტი: ტექნიკური შეფასების კომიტეტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 7 წევრისაგან.

შეფასების დროს არ შეიძლება წინასწარ არჩეული კრიტერიუმების პროცენტული მაჩვენებლების ცვლილება.

ტექნიკური წინადადების შეფასების კრიტერიუმებია: 40-ცუდი 41-70 დამაკმაყოფილებელი 71-90 კარგი 91-100 ძალაინ კარგი საშუალოდ გამსვლელ ქულად მიღებულია 75 და მეტი ქულა. ვინც დააგროვებს არადამაკმაყოფილებელ ქულებს ეცნობება წერილობით აღნიშნულის შესახებ.

შემდეგი ეტაპია მოწვევა ხელშეკრულების მისაღებად

კონტრაქტის გაფორმება: კონტრაქტი შეიძლება იყოს ფიქსირებული გადახდით როცა გადახდა ხდება სამუშაოს შესრულების შემდეგ ფიქსირებული კონტრაქტისას კონტრაქტის თანხის გაზრდა დაუშბვებელია ასევე დაუშვებელია კონტრაქტის ვადის გაგრძელება.

კონტრაქტი შუალედური გადახდით გამოუყენება ხანგრძლივი პროექტების განხორციელებისას 18 თვეზე მეტი პერიოდის კონტრაქტებისას და შესაძლებელია ხელშეკრულების თანხის გაზრდა მაქსიმუმ 5% -ით.

აღნიშნული მატების შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია უნდა გაიგზავნოს ბანკში და

მხოლოდ ბანკის თანხმობის შემდეგ არის შესაძლებელი ხელშეკრულების თანხის მატება. ასევე შესაძლებელია ავანსის თანხის გადახდა და იგი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს.

ზემოთ განხილული პროცედურებიდან და პროექტის მართვის სხვადასხვა ეტაპებიდან ჩანს, რომ კავშირი ბანკსა და სახელმწიფოდ შორის ორმხრივია ასევე ორმხრივია კავშირი სახელმწიფოსა და კონსულტანტს შორის ხოლო კავშირი ბანკსა და კონსულტანტს შორის ცალმხრივია კონსულტანტს შეუძლია ბანკს მიწეროს სხვადასხვა დარღვევების შესახებ საჩივრით. თუმცა ბანკი აღნიშნულს გადაუგზავნის სახელმწიფოს და მას დაავალდებულებს აღნიშნულის შესახებ საფუძვლიანი განმარტება მიაწოდოს როგორც ბანკს, ასევე კონსულტანს.

სახელმწიფოს მიერ წინასწარ დახარჯული თანხების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს პროექტს რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს თუ წინასწარ ჩაიწერება აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულებაში ბანკი აანაზრაურებს აღნიშნულ ხარჯებს პროექტის დაწყების შემდეგ. ანუ თანხა უბრუნდება სახელმწიფოს.

საერთო დასკვნა: ზემოთ მოხსენიებული და განხილული საკითხები რეგულირდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოთი. რომელიც სრულად მოიცავს კონსულტანტების შერჩევის ყველა ეტაპს მასში შესაბამისი ფომებით დამტკიცებულია სხვადასხვა ეტაპზე წარსადგენი ფორმები და ცხრილები, რომლებიც მოიცავს მრავალ საინტერესო და საყურედღები საკითხს კონტროლთან და შერჩავასთან დაკავშირებით, ასევე მაღალი კონკურენციის პირობების შექმნისთვის. რაც მნიშვნელობვანია ფირმის ჯანსაღი განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Банка и банковские операции. под. ред. У.Ф. Жукова. М.2006.

Федоров М., Валюта, валютные система и валютные курсы. М., 2005.

http://www.worldbank.org

http://www.worldbank.org/eca/russian/

PROCESS OF PROJECTS FUNDING BY WORLD BANK

ILIA CHIBIROV, PhD student of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, E-mail: ilochibirov@yahoo.com, mob.: 577 72 75 75

Summary

Scientific article on process of Projects Funding by World Bank contains information about those organizations that were founded during formation of World Bank and its structural changes.

Future steps of funding the projects that are going to be implemented by the World Bank;

Identification of the project, preparations, assessment, negotiations with bank, approval of the project by board of directors, implementation and realization of the project, completion of the project and assessment of results;

Also, selection of consultants and their assessment during the process of projects funding by the World Bank is completely reviewed and includes the following: selection by quality; selection by the current budget; selection by low price; selection by qualification; selection without competition; also indicators and criteria used during selection and assessment.

The mentioned data helped us in making certain decisions related to selection and assessment mechanisms both in state structures and private organizations. The above reviewed topics are regulated in the manual of the World Bank which includes relevant forms and tables for presenting on different stages. They contain a lot of interesting and important issues regarding control and selection, also formation of high competition conditions which is important for healthy development.

Key words: International Bank of Reconstruction and Development; project identification, institutional assessment, purchase plan; project realization, selection of consultants, committee for technical assessment.